- 4 (128). ხიმშიაშვილი

### თავადობა მინიჭებული რუსეთში

- 1 (129). თურქისტანიშვილი
- 2 (130). კავკასიძე
- 3 (131). სავარსამიძე

შეადგინა ი.ბიჭიკაშვილმა

**Табель о рангах  
(с изменениями и дополнениями XVIII - нач. XX вв.)**

Класс	Чины военные		Чины гражданские	Чины придворные
	Армейские	Флотские		
I	Генерал-фельдмаршал	Генерал-адмирал	Канцлер Действительный тайный советник I класса	
II	Генерал-аншеф с 1796 г. Генерал от инфантерии Генерал от каваллерии Генерал от артиллерии Инженер-генерал	Адмирал	Действительный тайный советник	Обер-камергер Обер-гофмаршал Обер-шталмейстер Обер-егермейстер Обер-гофмейстер Обер-шенк
III	Генерал-поручик (с 30-х гг. до кон. XVIII в.) Генерал-лейтенант	Вице-адмирал	Тайный советник	Гофмаршал Шталмейстер Егермейстер Гофмейстер Обер-церемонийстр Обер-фортнейдер (с 1856 г.)
IV	Генерал-майор	Контр-адмирал	Тайный советник (до 1724 г.) Действительный статский советник	
V	Бригадир (1723-1799 гг.)	Капитан-командор	Статский советник	Церемонийстер (с 1885 г.)
VI	Полковник	Капитан 1-го ранга		Камер-фурьер (до 1884 г.)
VII	Подполковник Войсковой старшина (с 1884 г.)	Капитан 2-го ранга	Коллежский советник Надворный советник	
VIII	Премьер-майор и секунд-майор (1731-1737) до 1884 г. Майор Войсковой старшина (с 1884 г.) Капитан Ротмистр Есаул	Капитан 3-го ранга (XVIII в.)  Капитан-лейтенант (до 1884 г.) Старший лейтенант	Коллежский асессор	
IX	Капитан Ротмистр Есаул Штабс-капитан Штабс-ротмистр Подъесаул	Капитан-лейтенант (XVIII в.) Лейтенант (1884 г.) Старший лейтенант	Титулярный советник  Коллежский секретарь	
X	Капитан-поручик	Лейтенант (до 1885 г.) Мичман (с 1885 г.)		
XI	Поручик Сотник		Корабельный секретарь	
XII	Секунд-поручик и унтер-лейтенант (XVIII в.) Подпоручик Корнет Хорунжий	Мичман (с 1885 г.)	Губернский секретарь  Провинциальный секретарь Сенатский регистратор	
XIII	Прапорщик		Синодальный регистратор Кабинетный регистратор Коллежский регистратор	
XIV	Фендрик (XVIII в.)	Мичман (XVIII в.)		

## დანართი 7

### Части Родословной книги Департамента Герольдии Правительствующего Сената Российской империи

- I часть – Дворянство новое (за заслуги; потомки дворян жалованных монархом).
- II часть – Дворянство по чину военной службы (по заслугам на военной службе).
- III часть – Дворянство по чину статской службы (по заслугам на статской службе).
- IV часть – Князь и дворяне иностранного происхождения.
- V часть – Титулованное дворянство.
- VI часть – Древнейшее дворянство.
- VII часть – Дворянство по женским линиям родов.
- VIII часть – Лица, имевшие право на потомственное дворянство но не оформивших его.
- IX часть – Личное дворянство.

შეადგინა ი.ბიჭიკაშვილმა

## დანართი 8

### თავად ჩხეიძეთა საოჯახო ნუსხები

На подлинномъ собственной ЕГО ИМПЕРАТОРСКОГО  
ВЕЛИЧЕСТВА рукою написано: “Утверждаю”  
С.Петербургъ 6-го Декабря 1850 года.\*

**ПОСЕМЕЙНЫЙ СПИСОКЪ**  
**лицамъ, принадлежащимъ**  
**къ княжескимъ и дворянскимъ родамъ**

**ИМЕРЕТИИ ЧХЕЙ ДЗЕ**  
**княжеский род**

161. **НАДВОРНЫЙ СОВѢТНИКЪ ДАВИДЪ БЕЖАНОВЪ.**  
сынъ его Бежанъ.  
дочери: Атиеди.  
Атадія.  
жена Бежана Маія.
165. **КОНСТАНТИНЪ ХОСІЕВЪ.**  
жена Константина Маія.  
сыновья ихъ: Платонъ.  
Соломонъ.  
Отія.  
Саломія.  
дочь Караманъ.  
братья Константина: Давидъ.  
Ефросинія.  
Терезія.  
сестры ихъ:  
жена Карамана Саломія.  
дочь ихъ Пасика.
166. **ПОРУЧИКЪ МЕРАБЪ КАЙХОСРОВЪ.**  
жена Бежана Саломія.  
сынъ ихъ: Кайхосро.  
дочери: Анна.  
Александра.  
Анастасія.
167. **ГЕОРГІЙ СИМОНОВЪ.**  
жена его Елена.  
сыновья ихъ: Глахуа.  
Алексъй.  
Соломонъ.  
Симонъ.  
Ивлита.  
дочь
168. **ВДОВА МАІОРА СИМОНА, ЕКАТЕРИНА.**  
сынъ ея Мелитонъ.  
жена его Пупина.

\* სია შედგენილია 1846 წელს, დამტკიცებულია 1850 წელს რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ I-ის მიერ.

**ЧХЕЙ ДЗЕ дворянский род**

1589. **КАЙХОСРО ОТИЕВЪ.**  
жена его Астандара.  
сыновья ихъ: Давидъ.

	дочери:	Андукапаръ. Кетеванъ. Рахиль.
1590.	<b>АЛЕКСЪЙ ГЕОРГІЕВЪ.</b> жена его Марія. сынъ ихъ дочь брат Алексъя	Иванъ. Андукапаръ. Елисавета. Ревазъ.
	<b>1591. ВДОВА ВАХТАНГА ДАВИДОВА, ТАСІЯ.</b> сыновья ея:	Манучаръ. Давидъ.
1592.	<b>ФОМА ГОГІЕВЪ.</b> жена его Тасія. сыновья ихъ: дочь	Доситеозъ. Гедеванъ.
Маія.		
1593.	<b>СИМОНЪ ЛЕВАНОВЪ.</b> жена его Мариса. сыновья ихъ: жена Левана братъя Симона: сынъ Григорія вдова Іосифа Маія. сыновья ея:	Леванъ. Спиридонъ. Агафія. Григорій. Ефремъ. Николай. Алексъй. Іулонъ.
1594.	<b>ДМИТРІЙ МАТВЪЕВЪ.</b> жена его Турфа. сыновья ихъ: дочь сестры Дмитрія:	Емануиль. Мелкиседекъ. Тасія. Марія. Елисавета. Наталія. Анна.
1595.	<b>ОТІЯ СИМОНОВЪ.</b> сынъ его	Ефимій.
1596.	<b>ИВАНЪ РОСТОМОВЪ.</b> жена его Хапія. сыновья ихъ: дочь	Ростомъ. Петръ. Марія.
1597.	<b>ГЕОРГІЙ ІЕСЕЕВЪ.</b> жена его Елена. сынъ ихъ дочери:	Спиридонъ. Елисавета. Марфа.
1598.	<b>ГЕОРГІЙ ДАВИДОВЪ.</b>	

	жена его Варвара. сыновья ихъ:	Манучаръ. Баана. Алексѣй. Луарсабъ. Таріель. Караманъ. Евгенія. Фекла.
	дочери:	Макрина.
	дочь Манучара	Екатерина.
<b>1599.</b>	<b>ПИРАНЪ БЕЖАНОВЪ.</b> жена его Софія. сыновья ихъ:	Симонъ. Давидъ. Иванъ. Николай. Бежанъ. Бичія. Самсонъ.
<b>1600.</b>	<b>ВАХТАНГЪ БЕЖАНОВЪ.</b> жена его Анна. сыновья ихъ:	
Максимъ.		Нариманъ. Несторъ. Григорій. Анусія. Пелагія. Цица.
<b>1601.</b>	<b>ТЕЙМУРАЗЪ СЕХНІЕВЪ.</b> жена его Варвара. сыновья ихъ:	Росапъ. Іосифъ. Дмитрій.
<b>1602.</b>	брат Теймураза <b>ЛЕВАНЪ ГЕОРГІЕВЪ.</b> жена его Ефемія. сыновья ихъ:	Ростомъ. Бичія. Іосифъ. Марина. Елисавета. Марина.
	дочь жена Ростома дочь ихъ	
	жена его Махуа. сыновья ихъ:	Давидъ. Придонъ. Михаилъ. Мизарбегъ. Евдукія. Ивлита.
	дочери:	

1604.	<b>РЕВАЗЪ РОСАПОВЪ.</b> жена его Марія. сыновья ихъ:  дочери:	Луарсабъ. Дмитрій. Софія. Макрина.
1605.	<b>ПИРАНЪ РОСТОМОВЪ.</b> жена его Нино. сыновья ихъ:  дочери:	Лука. Симонъ Христина. Ека.
1606.	<b>БЕЖАНЪ ІЕССЕЕВЪ.</b> жена его Елисавета. сыновья ихъ:	Діонисій. Мелитонъ.
1607.	<b>ЛЕВАНЪ ІЕССЕЕВЪ.</b> жена его Варвара. дочь ихъ братья Левана:  жена Симона сынъ ихъ дочь	Галпа. Симонъ. Вахуштій. Софія. Константинъ. Евгенія.
1608.	<b>КАЙХОСРО БЕЖАНОВЪ.</b> жена его Копія. сынъ ихъ дочери:  жена Давида дочь ихъ	Давидъ. Маія. Тасія. Русудана. Мзехатуна.
1609.	<b>НИКОЛАЙ ДАВИДОВЪ.</b> дочери его:	Ребека. Макрина.
1610.	<b>ГЕГЕНА БЕРОВЪ.</b> братья его:	Соломонъ. Михаиль.
1611.	<b>БЕЖАНЪ КАЙХОСРОВЪ.</b> жена его Марфа. сыновья ихъ:	Аслопъ. Симонъ.
1612.	<b>ДАВИДЪ СИМОНОВЪ.</b> жена его Варди. сыновья ихъ:  дочь	Илія. Виссаріонъ.
1613.	<b>ПИРАНЪ ВАХТАНГОВЪ.</b> жена его Софія. сыновья ихъ:	Тато.
Іосифъ.		
Бабусія.		

	дочери: жена Пирана	Константинъ. Куца. Имбрухта.. Маія.
1614.	<b>РОСТОМЪ СИМОНОВЪ.</b> жена его Тасія. сыновья ихъ:	Симонъ. Спиридонъ. Елизбаръ. Пиранъ. Пахреванъ.
1615.	<b>БЕЖАНЪ НИКОЛАЕВЪ.</b> жена его Тасія. братья Бежана:  жена Ивана	Иванъ.  Георгій. Ефемія.
1616.	<b>БЕРИ ДАВИДОВЪ.</b> жена его Саломе. сыновья ихъ:	Луарсабъ. Караманъ. Давидъ. Георгій. Квели. Ростомъ. Григорій.
1617.	<b>СЕХНІЯ ЗУРАБОВЪ.</b> жена его Елисавета. сыновья ихъ:  дочери:	Зурабъ. Капланъ. Георгій. Симонъ. Григорій. Марфа. Ница.. Маія.
1618.	<b>КАЙХОСРО ЗУРАБОВЪ.</b> жена его Родама. сыновья ихъ:  дочь	Караманъ. Арчилъ. Николай. Давидъ. Маія.
1619.	<b>САЧИНО ЛЕВАНОВЪ.</b> жена его Меланія. сыновья ихъ:  дочери:	Глахуа. Авджика. Барзимъ. Фекла. Пупина.
1620.	<b>БЕСО ЛЕВАНОВЪ.</b> жена его Маія.	



Бабусія.	сынъ ихъ дочери:	Раждень.  Анна.
1621.	<b>ЛЕВАНЪ ОТИЕВЪ.</b> жена его Салонія. сыновья ихъ:  дочери:  жена Георгія Маія. сыновья ихъ:  брат Левана жена его Гулкана. сынъ ихъ жена его Елисавета.	Георгій. Баана. Софія. Анна.  Григорій. Алмасханъ. Давидъ.  Вахтангъ.
1622.	<b>ВАХТАНГ БЕЖАНОВЪ.</b> жена его Хвахва. сыновья ихъ:  дочери:  жена Левана Елена. дочь ихъ	Бежанъ. Давидъ. Леванъ Екатерина. Гаяна. Марфа. Ефросина.  Минадора.
1623.	<b>ГЕОРГІЙ ГРИГОРІЕВЪ.</b> жена его Меланія. сыновья ихъ:  дочь братья Георгія:  жена Давида Варвара. сынъ ихъ	Константинъ. Иванъ. Платонъ Пелагія. Давидъ. Александръ. Симонъ.  Захарій.
1624.	<b>НИКОЛАЙ РОСТОМОВЪ.</b> дочери его:	Лисо. Мата. Софія.
1625.	<b>ИВАНЪ ПИРАНОВЪ.</b> братъ его:	Тато.
1626.	<b>БААНА БЕЖАНОВЪ.</b> жена его Анастасія. сыновья ихъ:  дочь	Бичія. Мерабъ. Софія.

1627.	<b>КОНСТАНТИНЪ ГОГИСОВЪ.</b> братъ его: мать Анастасія.	Самсонъ. Георгій.
1628.	<b>НИКОЛАЙ БЕРОВЪ.</b> мать Николая Анусія.	
1629.	<b>ДАВИДЪ КАЦЕВЪ.</b> жена его Маія. сыновья ихъ:	
Вахтангъ.	дочери:	Караманъ. Капланъ. Марфа. Екакія.
1630.	<b>АЛЕКСѢЙ ИВАНОВЪ.</b> жена его Нина. сынъ ихъ дочь	Виссаріонъ. Ольга.
1631.	<b>ГЛАХУА БЕЖАНОВЪ.</b> братъ его:	Симонъ.

საქართველოს სამეფოს სახელმწიფო მმართველობა. საქართველოს სამეფოს სახელმწიფო მმართველობა XII-XIII საუკუნეებში.

ერთიანი საქართველოს სახელმწიფო მმართველობა დიდ და რთულ მექანიზმს წარმოადგენდა. იგი გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფეების დროს ჩამოყალიბდა, დროთა განმავლობაში იცვლებოდა და XIII საუკუნის დასაწყისში ერთიანი, ძლიერი ფეოდალური მონარქიის პირობებში, დასრულებული სახე მიიღო.

უზენაეს ხელისუფალს წარმოადგენდა მეფე, რომელიც შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობდა. მეფესთან არსებობდა ფეოდალთა სათათბირო ორგანო - დარბაზი. იგი დიდებულ ერისთავთა და ადგილობრივ გამგებელ მოხელეთა დაწესებულება იყო. დარბაზის სხდომებზე, ანუ "დარბაზობაზე", უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საკითხები წყდებოდა: საკანონმდებლო, ომის გამოცხადება-დაზავება, დიდ ხელისუფალთა დანიშვნა და სხვ. ეწყობოდა საზეიმო სხდომებიც, რასაც "დიდი დარბაზობა" ეწოდებოდა. დარბაზის მოწვევას მეფე ბრძანებდა და სხდომებს თვითონვე თავმჯდომარეობდა. დავით აღმაშენებლის მიერ იქმნება პირველი ვაზირის - მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელო. დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული, სამეფო ხელისუფლების მმართველობითი აპარატი იზრდება და თანდათანობით იხვეწება. ყალიბდება მეფესთან არსებული მმართველ-განმკარგულებელი ორგანო - სავაზირო - თავისი სამოხელეო აპარატი. ერთიანი ცენტრალიზებული სამეფოს ხანაში საქართველოს მართვა-გამგეობა სწორედ სავაზიროს საშუალებით ხორციელდებოდა. ეს იყო გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს მთავრობა, რომლის თითოეულ წევრს გარკვეული უწყება ებარა და რომელთაც მეფე ეთათბირებოდა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტისას.

სამეფოს უმაღლესი თანამდებობის პირები (მინისტრები) არაბული ტერმინოლოგიით ვაზირებად იწოდებოდნენ. თამარ მეფემ ახალი ვაზირის -ათაბაგის - თანამდებობა შემოიღო. რუსუდანის მეფობის დროს, მსახურთუხუცესიც ვაზირის რანგში აიყვანეს. საქართველოს სამეფოს სავაზირო, ჩამოყალიბებული სახით, საბოლოოდ, შედგებოდა: მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის, ათაბაგის, ამირსპასალარის, მანდატურთუხუცესის, მეჭურჭლეთუხუცესისა და მსახურთუხუცესისაგან. ვაზირთაგან მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი მეფის შემდეგ პირველი პირი და მთავრობის მეთაური იყო; დანარჩენები, შესაბამისი საპატიო სახელოების მიხედვით, ორ ჯგუფად იყოფოდნენ: ათაბაგი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი შეადგენდა "სამ ვაზირთა" ჯგუფს, რომელიც უფრო მაღლა იდგა "ორ ვაზირთა" ჯგუფზე - მეჭურჭლეთუხუცესისა და მსახურთუხუცესის შემადგენლობით. ყველა ვაზირს, ათაბაგს გარდა, თავისი განსაკუთრებული ფუნქცია ჰქონდა. ისინი სხვადასხვა რანგის მრავალრიცხოვან მოხელეთა შტატისაგან შემდგარ განსაკუთრებულ უწყებებს ხელმძღვანელობდნენ.

ქართული სამოხელეო აპარატი ორი ნაწილისაგან შედგებოდა: "დარბაზის რიგის" მოხელენი რომლებიც სამეფო კარზე მსახურობდნენ, რითაც ცენტრალურ აპარატს ქმნიდნენ და მეორე "საქვეყნოდ გამრიგენი" ანუ ადგილზე დანიშნული მოხელენი, რომლებიც ცენტრის ნება-სურვილს აღასრულებდნენ სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში.

საქართველოს ძლიერების პერიოდის სახელმწიფოს საზღვრებში არაქართული ტერიტორიებიც შემოდიან. იქმნება მათი მართვის სისტემა: სამეფო ტახტი ერთ ნაწილს უშუალოდ იერთებდა, ქვეყნის ფარგლებში აქცევდა და ისე მართავდა; მეორეს ყმადნაფიცისა და მოხარკის მდგომარეობაში აყენებდა.

## მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი

მთავრობის მეთაური და პირველი მინისტრი, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ვაზირთა შორის მეფის უახლოესი მრჩეველი, თანაშემწე და მოადგილე იყო. იგი მეფის "მამად" მოიხსენიებოდა. მას ხელი მიუწვდებოდა სახელმწიფოს ყველა უწყებასა და დაწესებულებაზე. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ერთსა და იმავე დროს მეფის მოხელეც იყო და დიდი საეკლესიო თანამდებობის პირიც მეფეს მისი საშუალებით ადვილად შეეძლო საეკლესიო საქმეებში ჩარევა.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს ევალებოდა სახელმწიფო ქონების ყოველწლიური აღწერა და კონტროლი, რაც სამეფო საქმეების მოსაწესრიგებლად იყო აუცილებელი. არსენალის (ზარდახანის) შემოწმების დროს მასთან ერთად მონაწილეობდა ზარდახანის მწიგნობარიც, ხოლო საწოლი დარბაზის შემოწმებისას - საწოლის მწიგნობარი, რომელიც განსაკუთრებით გამოირჩეოდა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელზე უშუალოდ დაქვემდებარებულ მოხელეთა შორის. საწოლის მწიგნობარი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის მოადგილედ ითვლებოდა და სავაზიროს სხდომებსაც ესწრებოდა. ფეოდალურ საქართველოში დასტურდება 26 მწიგნობრის არსებობა, მათ ჰქონდათ განსაკუთრებული სამოხელეო ნიშანი, ე.წ. "საწერელი".

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი უმაღლესი სასამართლო ძალაუფლებით იყო აღჭურვილი. იგი "სააჯო კარს" ედგა სათავეში. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს, მეფის სახელით, თავის თანაშემწე, საწოლისა და ზარდახანის მწიგნობართუხუცესთან ერთად, განაჩენი გამოჰქონდა.

სავაზიროში ომისა და მშვიდობის გამოცხადება, თუ სხვა მსგავსი უმნიშვნელოვანესი საკითხები მეფისა და მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ხელმძღვანელობით წყდებოდა.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, საეროსთან ერთად, საეკლესიო ძალაუფლებასაც ფლობდა. მას ექვემდებარებოდნენ სახელმწიფო მონასტრებისა და მთლიანად ეკლესიის ხელისუფალნი. პირველი მინისტრის პატივთა შორის ისტორიული წყარო გვამცნობს, რომ როდესაც მას სასახლიდან მიაცილებდნენ, მსახურები ორი ანთებული ჩირაღდნით უნათებდნენ გზას; ეს მაშინ, როდესაც ათაბაგს, ამირსპასალარსა და მანდატურთუხუცესს ერთი ჩირაღდნით მიჰყვებოდნენ. სხვები ასეთ პატივს საერთოდ მოკლებულნი იყვნენ.

ამ მნიშვნელოვანი თანამდებობის ზეგავლენა, დროთა განმავლობაში, დაქვეითდა და XV ს.-ის ბოლოს საბოლოოდ მოისპო, რისი მიზეზიცაა საქართველოს პოლიტიკური და ეკლესიური დაშლა.

### ათაბაგი

საქართველოში ათაბაგი ერთ-ერთი უპირველესი ვაზირი იყო, რომლის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ტახტის მემკვიდრის აღზრდა წარმოადგენდა. ათაბაგობის დამკვიდრება საქართველოში, მსხვილი ფეოდალების განდიდების ტენდენციის ზრდის შედეგად მოხდა. თავისი პატივით, თავიდან, იგი ვაზირთა შორის მეორეა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის შემდეგ, თუმცა იმთავითვე დაუპირისპირდა პირველი ვაზირის თანამდებობას. ხშირად ათაბაგობასთან ამირსპასალარობაც იყო შეთავსებული. საქართველოს პოლიტიკური დაშლის შედეგად ათაბაგის, როგორც ვაზირის, სახელო მოისპო. "ათაბაგობა" სამცხის მთავართა ტიტულად იქცა.

### ამირსპასალარი

ამირსპასალარი, ანუ სამხედრო უწყების ხელმძღვანელი, განაგებდა მუდმივ ჯარს, მეფის მონასპას, საფეოდალოებიდან გამოყვანილ ლაშქარს და დაქირავებულ რაზმებს.

გამუდმებულ საომარ მდგომარეობაში მყოფი საქართველოსათვის ამირსპასალარის თანამდებობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ლაშქრობის დროს

ჯარებს მეფე ხელმძღვანელობდა, ხოლო მისი არყოფნის დროს, მთავარსარდლის ფუნქციებს ამირსპასალარი ასრულებდა. ქართველი უფლისწული ბატონიშვილები თავიდანვე ემზადებოდნენ სამომავლო ლაშქრობებისთვის, ამიტომ ამირსპასალარის სახელოს მფლობელს მათი სამხედრო აღზრდის საკითხის მოგვარებაც ევალებოდა. ხშირად ამირსპასალარობას ტახტის მემკვიდრის აღზრდელის - ათაბაგის - თანამდებობას უთავსებდნენ.

მშვიდობიანობის დროს ამირსპასალარი ჯარების წვრთნისა და მათი მომზადების საკითხებს განაგებდა. ამასთანავე, მეციხოვნეთა გარნიზონებს პირადად ამოწმებდა.

სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად, ქვეყნის თავდადებულ მეთაურებზე მიწების მფლობელობაში გადაცემის საკითხებს, მეფე სამხედრო მინისტრთან ათანხმებდა.

სამეფო სასახლის ცერემონიებზე ამირსპასალარს თვალსაჩინო ადგილი ეკავა, ხოლო მეფედ კურთხევის დროს გამორჩეული უფლება ჰქონდა, კერძოდ, ხელმწიფეს წელზე ხმალს არტყამდა, რაც სრული სამხედრო ძალაუფლების მინიჭებას ნიშნავდა.

ამირსპასალარის საუწყებო სამსახური სხვადასხვა რანგის მრავალრიცხოვანი მოხელეებისაგან შედგებოდა. ყველა სპასალარი, გარნიზონის მეთაური თუ ცალკეული რაზმის ხელმძღვანელი მას ემორჩილებოდა. ამირსპასალარსა და მის ქვეშევრდომებს იარაღის მუდმივად ტარების უფლება ეძლეოდათ. საქართველოს ერთიანი სამეფოს დანაწილების შემდეგ ამირსპასალარის თანამდებობა მოიხსო.

**ამილახორი (ანუ ამილახვარი)** ამირსპასალარის თანაშემწე ხელისუფალი იყო. სახელმწიფო საბჭოს სხდომებზე მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობდა. დარბაზობის დროს ამილახორი პატივით მეჭურჭლეთუხუცესთან და მსახურთუხუცესთან იყო გათანაბრებული.

მას უშუალოდ ემორჩილებოდნენ: **მეაბჯრეთუხუცესი** (აბჯარ საჭურვლის მთავარი გამგე), საჭურველთმტვირთველთა უფროსი, რომელიც მეფის აბჯრის მტვირთველის მოვალეობას ასრულებდა და სამეფო ხმალი, ლახტი და ქარქაში ეჭირა; **მეჯინიბეთუხუცესი** - სამეფო საჯინიბოს გამგე, მეჯინიბეთა უფროსი; **ამირჩქარი** - შიკრიკთა და მალემსრობლთა უფროსი, რომელსაც მეფის დაცვა ევალებოდა; **მერემეთუხუცესი** - მერემეთა, ანუ სამეფო ლაშქრისათვის ცხენების გამომზრდელ მეჯოგეთა უფროსი, სარემოს (საჯინიბოს) გამგე; **ჩუხჩარხი (ჩუხჩერახი, არუხჩი)** - მისი სახელო სამხედრო ფუნქციასა და მეფის დაცვის საქმიანობას უკავშირდებოდა; იგი მეფის დაცვის მოხელეთა უფროსი იყო და სათანადო პატივით სარგებლობდა. ჩუხჩარხი თან ახლდა მეფეს და მგზავრობისას, სხვა მოხელეებთან ერთად, მის წინ მიდიოდა.

ამილახორსა და მეაბჯრეთუხუცესს ექვემდებარებოდა **ზარდახნისუხუცესი**, რომელიც სამხედრო საჭურვლის საწყობის, არსენალის (ზარდახნის) უფროსი იყო, და მას, თავის მხრივ, ემორჩილებოდნენ: **მისრატულთუხუცესი** თავისი მისრატულებით. ზარდახნაში ინახებოდა: ჯაჭვის პერანგები, მუზარადები, ჯავშნები, თორები, აბჯრები, ხმლები, ფარები, სამუხლეები, მშვილდისრები, კვერთხები, პოროლები, ცხენის აღკაზმულობა, სხვადასხვა საჭურველი თუ აღჭურვილობა. არსენალის მოხელეთა ერთ-ერთ ძირითად მოვალეობას წარმოადგენდა მეფის მომსახურება საომარი აღჭურვილობით და ცხენის აღკაზმულობით მისი უზრუნველყოფა.

## მანდატურთუხუცესი

სამეფოს ერთ-ერთი გავლენიანი სახელოს მფლობელი, **მანდატურთუხუცესი** (შინაგან საქმეთა მინისტრი), საპოლიციო უწყების ხელმძღვანელი, მეფის სასახლის მთავარი მეთვალყურე და სამეფო კარის წესრიგის დამცველი იყო. მგზავრობის დროს მას მთავარი ცერემონიამისტერის როლი ეკისრებოდა. მანდატურთუხუცესს

ემორჩილებოდა ცენტრალური აპარატის უწყებები "სააფო კარი" და "საგანმგეო". თვალყურს ადევნებდა ეთიკეტისა და ცერემონიალის შესრულებას.

მანდატურთუხუცესის ძალაუფლების სიმბოლო - ოქროს ჯოხი - "სამანდატურო არგანი" იყო. მის მორჩილ მანდატურებს სავაზირო შენობის დაცვა და ადგილებზე პოლიციური ფუნქციების შესრულება ევალებოდათ. მათი ძალაუფლების სიმბოლოც "არგანი" იყო. მანდატურთუხუცესის სამსახური სახელმწიფო სიგელებს გასცემდა. მანდატურთუხუცესი თავისი პატივით ამირსპასალარს უტოლდებოდა. ზოგჯერ ორივე ეს სახელო ერთ პირს ჰქონდა. მანდატურების გარდა, მანდატურთუხუცესს ემორჩილებოდნენ **ამირეჯიბი, განმგეთუხუცესი** და სხვ. მოხელეები.

**ამირეჯიბი** მანდატურთუხუცესის უახლოესი თანაშემწე იყო. ამირეჯიბი განაგებდა სასახლის ცერემონიალს, ევალებოდა წესრიგის დაცვა, შეთქმულების აღკვეთა და სხვ. იგი სათათბირო ხმით სავაზიროს წევრი იყო. ყველა შემთხვევაში მას ნება ეძლეოდა მეფესთან მოხსენებით შესულიყო. **ეჯიბები**, რომელთაც მეფის სასახლისა და თავად მონარქის მომსახურება ევალებოდათ, ამირეჯიბს ემორჩილებოდნენ; **ამირეჯიბსა და განმგეთუხუცესს**, თავის მხრივ, ემორჩილებოდნენ **მესტუმრე, მერიგე** და სხვ. შეხვედრებს, სტუმრების განაწილებასა და გამასპინძლებას განაგებდა **მესტუმრე**, ხოლო რანგების მიხედვით სტუმრების მაგიდაზე განლაგებას **მერიგე**.

სამეფო კარის "საგამგეოს" ხელმძღვანელის, **განმგეთუხუცესის**, ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას სანადიმო მაგიდის ორგანიზება, სამეფო წვეულებებისა და ნადიმის დროს განკარგულებების გაცემა შეადგენდა; მასვე ემორჩილებოდნენ სამეფო ღომენის ის მოსამსახურეები, რომლებიც სამეურნეო საქმიანობასთან იყვნენ დაკავშირებული: **მეჯამეთუხუცესი** (სამეფო საწყობებში ისეთ სანოვაგეს ინახავდა როგორცაა: ბერძნული კაკალი, საჭმლის ზეთი, სუნელები, მჟავე მწნილები, მუხუდო, გამხმარი და დაშაშული თევზი, აგრეთვე საველე სამზარეულო კარავი, სპილენძისა და კალის ჭურჭელი), "საგამგეოს" **მუქიფი** და **ჭაშნაგირი**, რომელიც სამეფო მაგიდაზე მიტანის წინ საჭმელს სინჯავდა.

### მეჭურჭლეთუხუცესი

სახელმწიფოში **მეჭურჭლეთუხუცესი** (ფინანსთა მინისტრი) სამეფო ხაზინას (საჭურჭლეს) განაგებდა და ყველა საფინანსო საქმეს ხელმძღვანელობდა. დიდი უფლებებით აღჭურვილი ვაზირი ქალაქების ეკონომიკასა და ვაჭრობასაც მართავდა. მისი მოადგილე **საჭურჭლის ნაცვალი** იყო. მას ემორჩილებოდნენ: **ქალაქის ამირანი "მეჭურჭლენი ქალაქისანი"**, **ვაჭრები, მებაჟენი; აგრეთვე მუშრები** და **საჭურჭლის მუქიფი**.

### მსახურთუხუცესი

**მსახურთუხუცესი** ხელმძღვანელობდა ისეთ სფეროებს, როგორცაა მეფის სალარო, მეფის საწოლი და მეფისავე კერძო მეურნეობა. იგი სამეფო კარის ყველა მოსამსახურის მეთაური იყო. მსახურთუხუცესი პირადად ემსახურებოდა, ევალებოდა "შეკაზმა მეფისა". სამეფო კარის მიღებებზე მსახურთუხუცესის მოხელეები ემსახურებოდნენ მეფესა და ვაზირებს.

**მსახურთუხუცესს** ემორჩილებოდნენ: **მრლარეთუხუცესი, მესაწოლეთუხუცესი, ფარეშთუხუცესი, ციცხეთუხუცესი, მეხილეთუხუცესი, ბარგისუხუცესი, მკერვალთუხუცესი და მეხელადეთუხუცესი**.

ვაზირთა რიცხვში არ შედიოდნენ: **მეღვინეთუხუცესი** და ნადირობის ორგანიზატორი, სასახლის მთავარი მონადირე **მონადირეთუხუცესი**. ნადირობა სამხედრო წვრთნის ერთ-ერთ სახეობად ითვლებოდა და იანვრიდან მოყოლებული, ვიდრე აპრილის დიდმარხვამდე ყოველწლიურად იმართებოდა; **ტყისმცველთუხუცესი მონადირეთუხუცესს** ემორჩილებოდა.

## ადგილობრივი მმართველობის სისტემა

ადგილობრივი მმართველობის აპარატი ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიულ პრინციპზე იყო დაფუძნებული. სამეფოს ტერიტორია სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებად - საერისთავოებად და სამეფო დომენად - იყოფოდა. საერისთავოებს სათავეში ედგნენ **ერისთავები** და **ერისთავთ-ერისთავები**, რომელთაც ხელთ ეპყრათ ადმინისტრაციული და სასამართლო ძალაუფლება. ერისთავები სამეფო ხაზინაში გადასახადების შემოტანას ადევნებდნენ თვალყურს. ომის დროს მათ თავიანთი საგამგეოდან შესაბამისი სამხედრო ძალა გამოჰყავდათ. ერისთავებს მეფე ნიშნავდა და ისინიც მას ემორჩილებოდნენ. ერისთავები განსაკუთრებული სარგოს სახით მოსახლეობისაგან "საერისთავო" გადასახადს იღებდნენ. ერისთავის შემდეგ საერისთავოში უმაღლესი მოხელე გამგებელი ჩანს. საერისთავოების ადმინისტრაციულ და ფინანსურ საქმეებს ერისთავებზე დამოკიდებული მწიგნობართუხუცესები და მოლარეთუხუცესები განაგებდნენ. საერისთავოები თავის მხრივ სახვედრისთვის უფლებად და საციხისთავოებად იყოფოდა; ციხისთავსა და ხვედრისთავს საერისთავოში მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდათ.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრებზე არსებობდა საერისთავოთა ერთი ნაწილი, რომელთაც მონაპირე ერისთავები ეწოდებოდათ. მონაპირე ერისთავებს ევალებოდათ: საქართველოს საზღვრების დაცვა, სამხედრო დაზვერვის წარმოება და სამეფო კარისათვის მეზობელი ქვეყნების მდგომარეობის შესწავლა და შეტყობინება.

ერისთავები სახელმწიფო საბჭოს სხდომებში მონაწილეობას იღებდნენ და განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდნენ.

საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლილობის ხანისა და ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ ერისთავთა და დიდებულთა ერთი ნაწილი სათავადოების ნახევრად-დამოუკიდებელ მფლობელად იქცა, რომელთა მამულები მემკვიდრეობით გადაეცემოდა.

## სახელმწიფო მმართველობა XVI-XVIII საუკუნეებში.

ამ საკითხს, ძირითადად, ქართლის სამეფოს მაგალითზე განვიხილავთ.

ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლამ სათანადო ცვლილებები შეიტანა ქართულ სახელმწიფო მმართველობაში; მას სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებასა და მართვა-გამგეობის სისტემაში სათანადო შესაბამისი ნიშნები შეაქვს. ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლას თან გადაჰყვა მის დროს არსებული სახელმწიფო წყობილება, მიმდინარეობს ძველი, რთული ნიშან-თვისებების მქონე, "საკელოების" (თანამდებობების) თანდათანობითი დამცრობა, გადაგვარება და გაქრობა. ყალიბდება მმართველობის ახალი ფორმა, რომელიც პოლიტიკურად და ტერიტორიულად შემცირებული, დამოუკიდებელი ქართული სამეფოების ჩარჩოებში, სხვაგვარ სამოხელეო ორგანიზაციას ქმნის.

თითოეულ სამეფო-სამთავროს თავისი მმართველობითი ორგანოები ჰქონდა; ზოგიერთი პოლიტიკური ინსტიტუტი ერთ სამეფოში არსებობდა, ხოლო მეორეში - არა, ან ისინი თავ-თავიანთ სამეფოებში გარკვეული თავისებურებების მატარებელი იყვნენ. მეორეს მხრივ, მიუხედავად არსებული განსხვავებებისა, XVI ს.-დან ქართული სამეფო-სამთავროების სახელმწიფოებრივი მმართველობის სისტემებს შორის მრავალი ნიშან-თვისება საერთო იყო. მათ მსგავსებას ქართულ სამეფო-სამთავროებში ერთგვარი საზოგადოებრივი წყობილება და სოციალურ-პოლიტიკური პირობები განსაზღვრავდა. და ეს ბუნებრივიცაა. ახალი ეტაპის მმართველობითი ორგანოები და პოლიტიკური ინსტიტუტები ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგად წარმოიშვა, ერთ ხალხს ეკუთვნოდა, ერთი ენა და ერთიანი კულტურა ჰქონდათ,

რაც საფუძველს ქმნიდა, დაშლის შედეგად წარმოქმნილ სამეფო-სამთავროებში, ერთგვარი სახელმწიფოებრივი წყობილების ჩამოყალიბებისათვის.

ამავე პერიოდიდან, დაშლილი საქართველო ძლიერი აღმოსავლური სახელმწიფოების - ირანისა და თურქეთის - გავლენის ქვეშ მოექცა. ორივე ცდილობდა ბატონობის მოპოვებას და მათთვის დამახასიათებელი წესწყობილების შემოღებას. მაგ., ირანი ქართლში ახერხებს კონტროლის თვალსაზრისით წმინდა ყიზილბაშური თანამდებობების შემოტანას, სპეციალურ სამეთვალყურეო აპარატსაც ქმნის; გარკვეული პერიოდიდან მეფის მაჰმადიანობის აუცილებლობის საკითხიც დგება და სხვ.

ვახუშტი ბატონიშვილმა, საქართველოს დაშლის შემდეგ, ქართულ პოლიტიკურ ერთეულებში ეროვნული ნაციონალური ინსტიტუტების გვერდით გაჩენილ უცხოურ ელემენტებსა და გარეგან გავლენას "შერეული წესი" უწოდა. მნიშვნელოვან "რეფორმებს" ჰქონდა ადგილი როსტომ მეფის ხანაში ე.წ. "კომპრომისული" პოლიტიკის პერიოდში გზა გაეხსნა "ყიზილბაშურ რიგს", ძლიერი გავლენა ეტყობა სამეფო კარს, მეჯლისობის წესს, ზოგიერთ სხვა ორგანიზაციას, მაგრამ ამით ქართულ "საჯელოთა" (თანამდებობათა) ბუნება, სახელმწიფო აპარატი და მმართველობის სტრუქტურა იგივე დარჩა, ამიტომ ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური წყობა, ძირითადად, უცვლელად შენარჩუნდა; "ოსმალობა", "ყიზილბაშობა", "ურუმობა", "თათრობის" პირობებში ქართული ფეოდალური საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, აგრარული სისტემა და სახელმწიფოებრივი წყობა არსებობას განაგრძობს. არსებითი ცვლილებები არც ადგილობრივ გამგებლობაში მომხდარა. ახალი თანამდებობები რეალურად არსებულ ვითარებას ასახავდა და უმეტესობა ქართული ფეოდალური სინამდვილიდან მოდიოდა. ეს ეხება როგორც ქართლის, ისე კახეთისა და იმერეთის სამეფოებს.

ირან-ოსმალეთის დამპყრობლური პოლიტიკის მიუხედავად, XVI-XVIII სს.-ში, ქართული სახელმწიფოების სამეფო ხელისუფლების სათავეში კვლავ ბაგრატიონთა საგვარეულო დინასტია იდგა, ხოლო ქვეყნების მართვა "დარბაზის", ანუ სახელმწიფო საბჭოს, მეშვეობით ხორციელდებოდა. საერო და საეკლესიო მსხვილი ფეოდალებისაგან შემდგარი ეს სათათბირო ორგანო, მეფით სათავეში, განიხილავდა. უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა დარბაზის სხდომებზე ხდებოდა.

მოხელეობა კვლავ ორ მთავარ ჯგუფად იყოფოდა: "დარბაზის რიგის მოხელენი" და "საქვეყნოდ გამრიგენი". პირველნი სამეფო კარის დაწესებულებებში მსახურობდნენ და ცენტრალურ აპარატს ქმნიდნენ, ხოლო მეორენი ადგილებზე მოღვაწეობდნენ და ქალაქებს, სოფლებსა და თემებს განაგებდნენ. მოხელეს, რომელსაც ბრძანების გაცემის უფლება ჰქონდა, "ხელისუფალი" და "გამგებელი" ეწოდებოდა, ხოლო ბრძანების აღმსრულებელს - "საქმის მოქმედი". ირან-ოსმალეთიდან მომდინარე სამოხელეო სახელოები, პირველ რიგში, "დარბაზის რიგის მოხელეების" მიმართ ვრცელდებოდა, ხოლო "საქვეყნოდ გამრიგეთა" თითქმის უმრავლესობას ძველი ქართული სახელოები რჩება: **ერისთავი, გამგებელი, მოურავი, ციხისთავი** (თუმცა უცხოური გავლენით ჩნდება ახალი სახელოებიც).

სახელმწიფოს მეთაურს - მეფეს - სხვადასხვა ფუნქცია - დანიშნულებით მრავალი მოხელე ჰყავდა. თითოეულისათვის განსაზღვრული უფლება-მოვალეობა არსებობდა და ყოველი მათგანი მეფის მიერ იყო უფლებამოსილი.

მმართველობის ცენტრალურ აპარატში გამოიყოფოდა რამდენიმე ძირითადი მიმართულება: მმართველობის სამეურნეო-საფინანსო აპარატი და სასახლის სამსახური, მეფის სამდივნო, საპოლიციო სამსახური, მეფის დაცვის ორგანიზაცია, სასამართლო ორგანიზაცია (მართლმსაჯულება) და სხვ. მათ შორის განაწილებული იყო ცენტრალური მმართველობის სხვადასხვა ფუნქცია და თითოეულს, შესაბამისად, მოხელეთა მთელი შტატი ექვემდებარებოდა.

"დარბაზის რიგის მოხელეთა" შორის უპირველესი ადგილი **მეფის სახლთუხუცესს** ეკავა. იგი მმართველობის სამეურნეო-საფინანსო აპარატსა და სასახლის სამსახურს



ხელმძღვანელობდა; სამეფო სახლის გამგე და სასახლის დაწესებულებათა მთავარი გამგებელი იყო. მის კომპეტენციაში ადმინისტრაციული, საკონტროლო და სამდივნო ფუნქციებიც შედიოდა. **სახლთუხუცეს** ექვემდებარებოდნენ: სამეურნეო ხასიათის მოხელეები **ნაზირი, მოლარე, თავლიდარი, მუშრიბი...**, **სასახლის საფარეშო** და მისი მოხელეები **ფარეშთუხუცესი, მეკარე, სუფრაქეში...**, **სახაბაზოს, საშარბათოს, საღვინეს, სამკერვალოს, ნადირობის მომსახურების, საჯინიბოს მოხელენი**; აგრეთვე, სხვადასხვა დანიშნულების მქონე სხვა მოხელენიც: **მეთიარი, მერიქიფე, მუჯირი** და სხვ.

მმართველობის ცენტრალურ აპარატში ცალკე გამოიყო მეფის სამდივნო, სადაც მთავარი მოხელეებია: **მდივანი**, რომელიც ადგენდა სხვადასხვა ხასიათის საბუთებს და აწარმოებდა მიმოწერას და **მურდარი** - ბეჭდის შემნახავი.

მმართველობის ცენტრალურ ორგანოებში უმნიშვნელოვანესი იყო საპოლიციო აპარატი. მისი მოხელეები გამორჩეული სტატუსით სარგებლობდნენ. მათ ფუნქციაში აღმასრულებელი და ადმინისტრაციული ხასიათის საქმიანობა შედიოდა: ბრძანებისა და განაჩენის სისრულეში მოყვანა, გამოძიება, წესრიგის დაცვა და სხვ. თავიდან საპოლიციო აპარატს **ბოქაულთუხუცესი** მეთაურობდა, ასრულებდა სხვადასხვა სახის ბრძანებებს, განკარგულებებს, სისრულეში მოჰყავდა განაჩენი. როსტომის "რეფორმების" შემდეგ ამ მნიშვნელოვანი უწყების სათავეში **ემიკალასბაში** დგება, ხოლო **ბოქაულთუხუცესი** მეორე ადგილს იკავებს. **ემიკალასბაშის** თანამდებობა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ იგი მეჯლისის დროს, **სახლთუხუცესთან** ერთად, მეფის წინ იჯდა. **ემიკალასბაშს, ბოქაულთუხუცესის** გარდა, ექვემდებარებოდნენ: **ბოქაული, სოიბათიასაული, ყორიასაული, იასაული, მემანდარი, ყაფიჩი** და **თალიში**.

მმართველობის ცენტრალურ აპარატში ცალკე არსებობდა მეფის დაცვის ორგანიზაცია, რომელსაც ანხორციელებდნენ: **ყულარაღასი, მინბაში, უზბაში, მეთოფე, ყორჩიბაში. ქართლის ყულარაღასი** (თანამდებობის შემოღება როსტომის სახელს უკავშირდება) სასახლის გვარდიას ხელმძღვანელობდა და მეფის პირადი მხლებლის, მეფის ადიუტანტის მსგავს მოვალეობას ასრულებდა.

სასამართლოს ორგანიზაცია, მისი წარმოება, სახელმწიფო მმართველობის ძირითადი ფუნქცია იყო. მეფე, როგორც სახელმწიფოს მეთაური, სამეფოში უმაღლეს მსაჯულს წარმოადგენდა. სახელმწიფო სასამართლო დაწესებულებას "მდივანი", ხოლო მის ხელმძღვანელს **მდივანბეგი** ანუ **მსაჯულთუხუცესი** ეწოდებოდა. სასამართლო სამი წევრისაგან შედგებოდა: **მდივანბეგი**, როგორც "თავი მოსამართლე", **მსაჯულნი** და **მდივანი**. არსებობდა განსაკუთრებული შემადგენლობის სასამართლო, რომელსაც მეფე ერთი რომელიმე კონკრეტული საქმის გასარჩევად იწვევდა, შემდეგ კი შლიდა. მდივანბეგს გამოტანილი განაჩენის დასამტკიცებლად სამოხელეო ბეჭედი ჰქონდა, რომელსაც "მდივანბეგის ბეჭედი" ეწოდებოდა. ფუნქციონირებდა საეკლესიო სასამართლოც, ანუ ეკლესია სასამართლო საქმეებს თვითონვე არჩევდა. მსხვილ პრობლემებს კათალიკოსი, დანარჩენს კი ეპისკოპოსი, ან მოძღვარი განიხილავდა.

ირან-ოსმალეთის მომძლავრების პირობებში სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ აპარატში გაჩნდნენ განსაკუთრებული ხასიათის მოხელენი: (ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში) **ვეზირი, მუსტოფი** და სხვ. ეს იყო ირანის სამეთვალყურო აპარატი, რომლის მთავარი წარმომადგენელი - ვეზირი - უცხო სახელმწიფოს რწმუნებულია ქართლში. იგი, ამავე დროს, მეფის მრჩეველიცაა და სამეფოს საშინაო საქმეებშიც აქვს შესაბამისი ფუნქციები. მას გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ვაზირთან არაფერი ჰქონდა საერთო. XVIII ს.-ის II ნახევარში ვეზირის თანამდებობა კარგავს თავის მნიშვნელობას და ისპობა.

## მმართველობის ადგილობრივი აპარატი

XVI-XVIII სს.-ში ქართული სახელმწიფოების ადგილობრივი მმართველობა რთულ სისტემას წარმოადგენდა. ამ სამოხელეო აპარატს, გამომდინარე აღნიშნული პერიოდის საერთო სიტუაციიდან, უმძიმეს პირობებში უხდებოდა მუშაობა. ამას ემატებოდა ქალაქის მმართველობის განსაკუთრებულობა, უცხოური მოწოლის შედეგად თათრის "ელისა" და მსგავსი წარმონაქმნების არსებობა და ქართული სოფლის თავისებურებანი. მაგ., ეს უკანასკნელი არ წარმოადგენდა ერთ სამმართველო ერთეულს, ერთსა და იმავე სოფელში შეიძლებოდა მეფის, კათალიკოსის და სხვადასხვა თავადთა მამულების არსებობა; მათი ყმები, პირველ რიგში, თავიანთ ბატონებს ემორჩილებოდნენ, ამიტომ მმართველობის ადგილობრივი აპარატი შესაბამის მოწყობას მოითხოვდა.

სოფლად ადგილობრივ მმართველობას წარმოადგენდა: **სარდალი, მოურავი, ნაცვალი, მამასახლისი, გზირი, ქემხა**, ხოლო ქალაქად - **ქალაქის მოურავი, მელიქი, მამასახლისი, ნაცვალი**. ქალაქში მოურავი მთავარი მოხელე იყო და მას მეფე ნიშნავდა; **თბილისის მოურავს** დარბაზის სხდომაზე დასწრების უფლებაც ჰქონდა.

თავისებური ფორმა შეიძინა სამხედრო საქმის ორგანიზაციამაც. გვიანი შუასაუკუნეების ქართულ სამეფოებში მუდმივი ჯარის ინსტიტუტი აღარ არსებობდა. სამხედრო ორგანიზაცია სადროშოების პრინციპზე იყო დაფუძნებული, სამეფოები დაიყო სადროშოებად, რომლებიც სამხედრო-ტერიტორიულ ერთეულებს წარმოადგენდა (ეს რეფორმა თითოეულ ქართულ სახელმწიფოში გარკვეული თავისებურებებით გატარდა). სადროშოს სათავეში იდგა **სარდალი**, რომელიც სამხედრო საქმიანობის გარდა ადმინისტრაციული და სასამართლო ხასიათის ფუნქციებსაც ასრულებდა. მართალია, სარდალი ჯარის ხელმძღვანელს ნიშნავდა, მაგრამ გვიანი შუასაუკუნეების საქართველოში იგი არა მარტო სამხედრო, არამედ ადგილობრივი მმართველობის მოხელეც იყო; სწორედ სარდალია ადგილობრივი ადმინისტრაციის ყველაზე დიდი მოხელე.

იოსებ ბიჭიკაშვილი

## ს ა რ ჩ ე ვ ი

- ი.ბიჭიკაშვილი, შ.ჩხეიძე. ჩხეიძეთა საგვარეულოს ისტორიული ნარკვევი;
- ი.ბიჭიკაშვილი. ჩხეიძეების (ჩხეტიძეების) გენეალოგია, ტაბულა №1;
- ი.ბიჭიკაშვილი. თავად ჩხეიძეთა გენეალოგია, ნუსხა №1;
- ი.ჩიქოვანი. თავად ჩხეიძეთა გენეალოგია, ნუსხები №2-11;
- ი.ჩიქოვანი, ი.ბიჭიკაშვილი. საარქივო მასალა, წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა;
- ჩხეიძეთა აზნაურული შტო;
- ჩხეიძეთა საგვარეულო შეკრება (ზესტაფონი-დიმი) 1980 წ.;
- თანამედროვე ჩხეიძეების მოღვაწეობა საზღვარგარეთ;
- ჩხეიძეები გუშინ, დღეს და ...;
- ი.ბიჭიკაშვილი. დანართები №1-9.